

შპს „ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი“

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ინფორმაცია
მომზადებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
სპეციალური დანიშნულების წინასწარი საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია	5
4. მსს ფასს-ის პირველად გამოყენება	13
5. შეფასებები და დაშვებები	13
6. ძირითადი საშუალებები	14
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	14
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14
9. სესხები	15
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15
11. დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები	15
12. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები	15

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	176	191
არამატერიალური აქტივები		3	3
სულ გრძელვადიანი აქტივები		179	194
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები		39	41
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	1,300	1,334
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	106	3
სულ მიმდინარე აქტივები		1,445	1,378
სულ აქტივები		1,624	1,572
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		(30,362)	(11,178)
სულ კაპიტალი		(30,362)	(11,178)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	9	30,571	10,951
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	1,415	1,799
სულ მიმდინარე ვალდებულებები		31,986	12,750
სულ ვალდებულებები		31,985	12,750
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,624	1,572

ეს სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა 2019 წლის 30 სექტემბერს.

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები		17
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(13,781)
საოპერაციო იჯარა		(327)
საკონსულტაციო მომსახურება		(284)
სამივლინებო ხარჯები		(428)
წარმომადგენლობითი ხარჯები		(110)
მარკეტინგული ხარჯები		(21)
საგადასახადო ხარჯები გარდა მიმდინარე მოგების გადასახადისა		(52)
ცვეთა და ამორტიზაცია		(45)
კომუნიკაციის ხარჯები		(40)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(134)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(15,205)
საპროცენტო ხარჯი		(1,748)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(2,231)
ზარალი დაბეგვრამდე		(19,134)
მოგების გადასახადი		-
წლის ზარალი		(19,184)
სხვა სრული მოგება/(ზარალი)		-
წლის სრული ზარალი		(19,184)

ეს სპეციალური დანიშნულების წინასწარი მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
გამოსაშვებად დამტკიცდა 2019 წლის 30 სექტემბერს

ვოლოდიმერ ლოზინსკი

შპს „ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი“-ს

დირექტორი

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

სპეციალური დანიშნულების წინასწარი საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	-	(11,178)	(11,178)
ზარალი წლის განმავლობაში	-	(19,184)	(19,184)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	-	(30,362)	(30,362)

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წელს, საქართველოში, ქ.ზესტაფონი., საქარხნოს ქ., №9. კომპანიის ძირითად საქმიანობას წამოადგენს საკონსულტაციო მოსამახურება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100% წილის მფლობელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯორჯიან ამერიქენ ელოიზ, რეგისტრირებული ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოში, რომელიც თავის მხრივ არის ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული ჯორჯიან ამერიქან ელოიზ ინქ. -ის შვილობილი კომპანია.

2. მომზადების საფუძველი

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისი სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადდა საქართველოს კანონის “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” შესაბამისად.

კომპანიას აქამდე არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის სხვა რომელიმე სტანდარტების მიხედვით. რადგანაც კომპანიას არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი პერიოდებისთვის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედვით, ეს ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ მის გაცხადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა მსს ფასს-ის საფუძველზე და ასევე გამოიყენა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება არ წარადგინოს ფულადი ნაკადების ანგარიშგება. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა ყველა მსს ფასს-ის მოთხოვნები, რომლებიც ამ დროისთვის გამოშვებულია და, რამდენადაც ცნობილია, ძალაში დარჩება 2019 სააღრიცხვო წლისთვის. მსს ფასს-ის თანახმად, წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის მიერ პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მოქმედ თითოეულ მსს ფასს-ის მოთხოვნებს, მსს ფასს-ის 35-ე განყოფილებაში გათვალისწინებული გარკვეული გამონაკლისებით, რომლებიც მე-5 შენიშვნაშია აღწერილი. შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ ამგვარი ცვლილებების გამო მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას გარკვეული კორექტირებები დასჭირდეს.

ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რადგან მასში არ არის შესული შესაბამისი ფინანსური ინფორმაცია, შესაბამისად, იგი მსს ფასს-ის მიხედვით სამართლიანად არ ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას. ეს შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ფინანსური ინფორმაციის შემცველი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადებით.

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“) და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია

წინამდებარე წინასწარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ:

აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად. კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს სპეციალური დანიშნულების წინასწარი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: (ა) მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; (ბ) ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა; (გ) მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან (დ) აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: (ა) მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; (ბ) ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა; (გ) დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან (დ) ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

სამართლიანი ღირებულების შეფასება. კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს და არაფინანსურ აქტივებს, მაგ. ძირითად საშუალებებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით.

საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების, 35.10 გ - პუნქტით განსაზღვრული შეღავათი და არაფინანსური აქტივების საწყისი ღირებულება (ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სამართლიანი ღირებულება) მიიჩნია მის დასაშვებ საწყის სამართლიან ღირებულებად საწყისი ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება ხდება: (ა) აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან (ბ) მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლის დროსაც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ვალუტის გაცვლა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი.

ტრანზაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ“) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების ანგარიშსწორების და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს სებ-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური მოგება ან ხარჯი. ვალუტის გადაცვლა წლის ბოლოს განაკვეთებით არ გამოიყენება არაფულად ერთეულებზე, რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით.

2018 წლის 31 დეკემბერს, სებ-ის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი შეადგენდა შემდეგს : 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი და 1 ევრო = 3.0701 ლარი (31 დეკემბერი 2016 : 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი 1 ევრო = 3.1022 ლარი). დღესდღეისობით საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას მიეკუთვნება შემდეგ კატეგორიებს : მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ერთ კატეგორიაშია გაერთიანებული: სავაჭრო დებიტორული დავალიანება და მისაღები ანგარიშები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და მისაღები ანგარიშები - ეხება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას, ბანკში განთავსებულ მოკლევადიან დეპოზიტებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს. მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით

დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის განცალკევებულ საწყის ანგარიშგებაში აისახება.

ალიარების შეწყვეტა - ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) ალიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში: (ა)ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან (ბ)კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; ან კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის ალიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც ალიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების შესაბამისად.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურება არსებობს იმ შემთხვევაში, თუ აქტივის თავდაპირველი ალიარების შემდეგ მომხდარი მინიმუმ ერთი მოვლენა გავლენას ახდენს ფინანსურ აქტივთან ან ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სამომავლო სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ დებიტორი ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები - ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივების შემთხვევაში, კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ჯერ ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კოლექტიურად განსაზღვრავს არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები.

თუ კომპანია დაადგენს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია (გაგრძელება)

აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

გაუფასურების ნებისმიერი ზარალის დადგენილი თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, გაუფასურების ზარალის შესაფასებელ დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო გაუფასურების ოდენობა აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. მისაღები ანგარიშები, მასთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მოგვიანებით ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის განცალკევებული საწყისი ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილის კრედიტში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი შეფასებისას ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს.

შემდგომი შეფასება - ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

ბანკისგან მიღებული სესხები და **გადასახდელი ანგარიშები**. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის განზრახვა, რათა ერთდროულად მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე აღიარდება პერიოდის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა ნაგებობები	20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	4-5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები. ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის განცალკევებულ საწყის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს და მოიცავს მარაგების შემენის ხარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდიდება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრის შემდგომი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში, კომპანია გაუფასურებას ითვლის ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი შემობრუნების აღიარება ხდება სრული შემოსავლის განცალკევებულ საწყის ანგარიშგებაში, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღირიცხება, როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია (გაგრძელება)

ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად განაწილება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად. გაუფასურების ზარალი სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში არ არის ასახული ასეთის არ არსებობის გამო.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავა მყიდველზე, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე.

ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე.

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის საწყის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტია (გაგრძელება)

გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების განცალკევებულ საწყის ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის განცალკევებული საწყისი ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს

დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა, რომელიც ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისგან დაბრუნებას ან საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას, შედის ჩასათვლელ ან გადასახდელ დღგ-ში და აისახება ფინანსური მდგომარეობის განცალკევებულ საწყის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და ბანკებში განთავსებული სახსრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

იჯარა. იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან მოიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და შეთანხმება იძლევა აქტივის ან აქტივების გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება არ არის მკაფიოდ აღნიშნული შეთანხმებაში.

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა.

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

4. მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით მომზადდა კომპანიის მიერ მსს ფასს-ის გადასვლის ფარგლებში. მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას კომპანია გამოიყენებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის თავისი ფინანსური ანგარიშგების პირველი სრული პაკეტის მოსამზადებლად.

მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება „მსს ფასს-ზე გადასვლა“, მათ, ვინც პირველად იყენებს მსს ფასს-ის სტანდარტებს, საშუალებას აძლევს, არაფინანსური აქტივები შეაფასონ მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით და ეს სამართლიანი ღირებულება მიიჩნიოს მის დასაშვებ საწყის ღირებულებად ამ თარიღისთვის.

ამიტომ 2018 წლის 1 იანვრისთვის მსს ფასს-ზე გადასვლის მიზნებისთვის კომპანიამ თავისი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებები მიიჩნია მის დასაშვებ საწყის ღირებულებად.

რადგანაც კომპანიას არ გამოუშვია განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება შესადარისი პერიოდებისთვის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედვით, მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ეს განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან მსს ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლამ მის გაცხადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს ფულადი სახსრები მომავალში თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, საწყისი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

საეჭვო დავალიანების რეზერვი. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში. ხელმძღვანელობის შეფასებით, სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურების ობიექტური ნიშნები საანგარიშო პერიოდისთვის არ გამოვლენილა.

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

5. შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების შეფასება. კომპანიის ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთი მიჩნეულია როგორც მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიაჩნევენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. აღნიშნული პერიოდი არ აღემატება სამ წელს.

6. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება			
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	78	296	374
შემოსვლა	-	30	30
გასვლა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	78	326	404
დაგროვილი ცვეთა			
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	57	136	194
ცვეთა წლის განმავლობაში	3	32	35
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60	168	229
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	21	160	181
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18	158	176

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
თამაშრომლებზე გადახდილი ავანსები	1,102	1,102
გადახდილი ავანსები	198	232
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,300	1,334

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ნაღდი ფული საბანკო ანგარიშზე	106	3
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	106	3

შპს ჯი-ეი-ეი მენეჯმენტი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

9. სესხები

2017 წელს კომპანიამ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება ფელმან ტრეიდინგ ინკ.-თან, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9% ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 31 მარტი. აღნიშნული სესხი დენომინირებულია აშშ დოლარში.

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სესხის ძირი	28,427	10,644
სესხის პროცენტი	2,144	307
სესხები	30,571	10,951

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გადასახდელი ხელფასები	878	856
სავაჭრო ვალდებულებები	115	327
სხვა ვალდებულებები	423	616
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,415	1,799

11. დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები

ფელმან ტრეიდინგ ინკ.-ი არის დაკავშირებული საწარმო, კომპანიას დაკავშირებული საწარმოდან აქვს აღებული სესხი რომლის დეტალურად აღწერილია მე-9 განმარტებით შენიშვნაში.

12. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ არანაერი შემთხვევა არ დამდგარა, რომელიც მოითხოვდა შესწორებას ან გამჟღავნებას წინამდებარე საწყისი ფინანსურ ანგარიშგებაში